



შექმნილი არაკეთილსაიმედო ეკოლოგიური სიტუაცია მთელი მსოფლიოს მეცნიერებს აიძულებს ეძებონ “ეკოლუციის” ნარჩენი პროდუქტების ნეიტრალიზაციის მეთოდები.

ჩვენ – საქართველოს დამოუკიდებელ ჰომეოპათთა ასოციაციამ, გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა რიგი ექსპერიმენტებისა ჰომეოპათიური (ე.წ. ზედაბალი განზავების) პრეპარატების გამოყენებით. დღეს ძალზე მოდურია საუბარი ნანო-ტექნოლოგიების შესახებ, და მრავალი ქვეყანა დიდ თანხებს ახანდებს ამ ტექნოლოგიების დასანერგად. აღნიშნული დანახარჯები შემდგომში სრულად კომპენსირდება, ხოლო ყველაზე აქტუალურ თემებს ძალზე დიდი მოგებაც მოაქვთ.

მცენარეული და ცხოველური უჯრედების ფუნქციონირების პრინციპის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ ჩაფიქრებულ იქნა რამდენიმე ექსპერიმენტი. ერთ-ერთი მათგანი

შეეხებოდა წყალს. წყალი ერთ-ერთი აქტუალური თემაა მთელ მსოფლიოში. წყლის უკმარისობის პრობლემა შეიძლება შეგვხვდეს ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც თითქოს მსგავსი პრობლემები არ უნდა არსებობდეს. მაგრამ პრობლემა არსებობს, ვინაიდან საუბარია სუფთა სასმელ წყალზე.

ვიცით, რომ უჯრედში მიმდინარეობს ქვანტურ-მექანიკური პროცესები, რაც განსაზღვრავს უჯრედის სიკვდილსა თუ სიცოცხლეს. ჩვენ დავიწყეთ ამ პროცესებზე ელექტრომაგნიტური ტალღების ზედაბალი სიხშირეებით ზემოქმედების შესაძლებლობის შესწავლა. ჩვენი მეთოდის თანამედროვე სამეცნიერო სიახლე მოიცავს ბიოფიზიკის და ქვანტური მექანიკის უკანასკნელ მონაცემებს. ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა, ეს არის ატომთა ერთობლიობა. ხოლო ყველა ატომში მიმდინარეობს თითქმის იდენტური პროცესები. ამ იდენტური პროცესებიდან გამომდინარე, ჩვენ ჩავატარეთ ცოცხალ უჯრედში ამ პროცესებზე ზემოქმედი ექსპერიმენტები. ანუ, სხვადასხვა ელექტრომაგნიტური სიხშირეებით უჯრედის სტიმულირების შემთხვევაში, შესაძლოა მივიღოთ სრულიად სხვადასხვა საბოლოო ეფექტი.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველ ატომში, თავისი სპეციფიურობიდან გამომდინარე, ყოველწამს გროვდება გარკვეული ენერგია. რა თქმა უნდა, ეს ენერგია იმდენად მცირეა, რომ თანამედროვე ტექნიკური საშუალებები არ იძლევა მათი რეალურად გაზომვის საშუალებას. მაგრამ, ეს ჩვენ ხელს არ გვიშლის ჩავერიოთ

ამ პროცესებში. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყჯრედში ამ ენერჯის ნაკლებობა ან სიჭარბე არღვევს მისი ფუნქციის ჰარმონიულობას.

დღესდღეობით უამრავი ინფორმაციის მოპოვება შეიძლება მკვეთრი ან ძლიერი ელექტრომაგნიტური ტალღებით უჯრედზე ზემოქმედების შესახებ; და ძალზედ ცოტაა მონაცემები უჯრედზე ზემოქმედებზე ელექტრომაგნიტური სიხშირეებით ზემოქმედების შესახებ. სწორედ ეს ზებგერითი ელექტრომაგნიტური ტალღები არის სინამდვილეში უჯრედის სიცოცხლე.

ნებისმიერი სიცოცხლე ატომიდან უნდა იწყებოდეს; მაგრამ ერთ ატომს არ შეუძლია თავის თავში დაიტოს ყველაფერი, რასაც სიცოცხლე ჰქვია. ეს უნდა იყო გარკვეული რაოდენობა ატომებისა, რომელთაც შეუძლიათ ჰარმონიულად ფუნქციონირება. შრედინგერის ვარაუდით ეს რაოდენობა არის 1007 ± 2 ატომი. კვანტური ფიზიკა გვეუბნება რომ ატომში მიმდინარე პროცესები გამოყოფს გარკვეული რაოდენობის ენერჯიას ან აკეთებს მის აკუმულირებას.

ექსპერიმენტებში ჩვენ შევნიშნეთ რიგი კანონზომიერებებისა. დაგროვილი ენერჯის ზედმეტი რაოდენობის გამოთავისუფლებისას ხდება უჯრედის ჰარმონიული ფუნქციონირების სტიმულირება; მაგრამ ჩვენ თუ გადავტვირთავთ უჯრედს ენერჯის არასაჭირო რაოდენობით, მისი ფუნქცია დაითრგუნება, და თუ ეს პროცესი არ შევაჩერეთ, უჯრედი იღუპება.

მანძილი ბირთვიდან ელექტრონამდე არის უჯრედის სიცოცხლე ან სიკვდილი. მანძილის შემცირებისას უჯრედის ფუნქცია ითრგუნება. და პირიქით – მანძილის გაზრდისას ხდება უჯრედის ფუნქციის ჰარმონიული სტიმულირება. ანუ უნდა ხდებოდეს ჭარბი ენერჯის გამოთავისუფლება.

ნობელის პრემიის ლაურეატმა ავსტრიელმა ფიზიკოს-თეორეტიკოსმა შრედინგერმა ივარაუდა, რომ 1007 ± 2 ატომს უნდა გაეკეთებინა რომელიღაც გარკვეული სტრუქტურის ფორმირება, რასაც მან უწოდა აპერიოდული კრისტალი. ეს ატომთა რაოდენობა არ უნდა რეაგირებდეს ყოველგვარ ელექტრომაგნიტურ სიხშირეებზე, რომლებიც ყოველ წამს ბომბავენ უჯრედებს კოსმოსიდან და გარემოდან. როგორც ჩანს არის შემთხვევები, როცა ეს სიხშირეები ღებულობენ გარკვეულ მონაწილეობას (როგორც დადებითს, ასევე უარყოფითს) უჯრედის ფუნქციონირებაში. სწორად არჩეული სიხშირე აუცილებლად მოგვცემს დადებით შედეგს, რასაც ვღებულობთ კიდევ ყოველ ექსპერიმენტულ შემთხვევაში.

უკანსაკნელ წლებში რიგი გამოჩენილი ფიზიკოსების მიერ მოწოდებულ იქნა ელექტრომაგნიტური ტალღების ენერჯის შიდა ატომური ფუნქციონირების ახალი ჰიპოთეზა, რასაც ეწოდა სიმების თეორია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიმების თეორია განამტკიცებს ჩვენს ვარაუდს აღნიშნული ელექტრომაგნიტური ტალღების ფუნქციონირების პროცესში ჩარევის შესაძლებლობის შესახებ. ყოველი „სიმი“ ხომ განსაზღვრულად ატარებს მატრიცულ კოსმიურ დატვირთვას, ანუ აკავშირებს მაკროკოსმოსს მიკროკოსმოსთან, როგორც ერთ მთლიანს, რომელიც ჰარმონიულად ფუნქციონირებს კოსმოსში და განსაზღვრავს ბუნების მოვლენების მიზეზ-შედეგობრიობას.

ვიცით რომ ჩვენს მიერ წამოყენებული თეორია ბევრი ფიზიკოსის მიერ გაკრიტიკებული იქნება, იმდენად რამდენადაც ატომის ელექტრომაგნიტური

ველის ფუნქციაში ჩარევა ჯერ-ჯერობით არარეალურად ითვლება. თუმცა ჩვენს მიერ მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ რომ სწორი მიმართულებით მივდივართ.

წყლის ლაბორატორიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენ გვექვემდებარებოდნენ ბაქტერიები, რომლებიც იქ ჩვენს ჩარევამდე არსებობდნენ. ანუ (ლაბორატორიული მონაცემები იხილეთ დანართში) ბაქტერიებს მივაწოდეთ ინფორმაცია გარკვეული ძალის ელექტრომაგნიტური სიხშირეების (ტალღების) სახით, აპოფტოზის პროცესის ჩართვის შესახებ. და ბაქტერიები ჩვენ დაგვემორჩილნენ, რაც ძალზე საინტერესოა – ესპერიმენტულად მიღებულმა წყალმა არ განიცადა ცვლილება სამი წლის მანძილზე. ესპერიმენტიდან სამი წლის შემდეგ ჩატარებული განმეორებითი ანალიზი პირველი ანალიზის იდენტური აღმოჩნდა.

რა თქმა უნდა ჩატარებული ცდების რაოდენობა არ გვაძლევს ქვანტური მექანიკური პროცესების სრული ახსნისა და გაგების საშუალებას. სიმების თეორია ხომ სისტემატურად განიცდის კრიტიკას ოპონენტების მხრიდან. ამიტომ ფიზიკოსებისათვის საინტერესო უნდა იყოს ექსპერიმენტების ჩვენთან ერთად ჩატარება. ვიმედოვნებთ რომ ეს ასეც იქნება; მით უმეტეს რომ ეკონომიურად ეს სრულიად მიზერული სიდიდეა იმ ხარჯებთან შედარებით, რომლებთანაც ფიზიკოსებს უწევთ შეხება.

ჩვენის აზრით ფიზიკოსების მიერ წამოყენებული ე.წ. თეორია სავსებით მართლდება ჩვენს მიერ შემოთავაზებული ექსპერიმენტებით. თეორია ხომ მთელი სამყაროს მატრიცული თეორიაა. ჩვენ შეგვწევს უნარი შევთავაზოთ სრულიად ზედაბალი ელექტრომაგნიტური ველები და დარწმუნებული ვართ, რომ ისინიც მოგვცემენ მოსალოდნელ ექსპერიმენტულ შედეგს – კლასიკური ქვანტური ფიზიკა ამბობს – ყოველ მასას უნდა ჰქონდეს თავისი ენერჯია და პირიქით.

ჩვენ კი სწორედ ამ სიდიდეებით ვმანიპულირებთ. ამის რეალურად წარმოდგენა ძალიან უძვირია იმ ადამიანებს, რომელთაც არა აქვთ კვანტური ფიზიკური ცოდნა.

მაგრამ თუ ვივარაუდებთ რომ ჩვენ მართლები ვართ, და ჩვენთან ერთად გაჰყვებიან ჩვენს მიერ მოწოდებულ გზას, დარწმუნებული ვართ, მთელ სამეცნიერო სამყაროს გაეხსნება სრულიად ახალი მეცნიერული შესაძლებლობები, სრულიად სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებში.

იმიტომ რომ თეორია დასაბუთებულია – სამყარო ერთიანია.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი,
საქართველოს დამოუკიდებელ ჰომეოპათთა
ასოციაციის პრეზიდენტი
გიორგი ნადარეიშვილი